HUMAN RIGHTS WATCH

„არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“

საქართველოში წლების განმავლოვაში შრომის ბაზრის დელეგულირება საფრთხეს უქმნის მაღაროელებს

HUMAN RIGHTS WATCH

„არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“

საქართველოში წლების განმავლობაში შრომის ბაზრის დელეგულირება საფრთხეს უქმნის მაღაროელებს

მოკლე მიმოხილვა

35-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე მიხეილი, სამ სხვა მეშახტესთან ერთად დაიღუპა საქართველოს იმერეთის რეგიონში, ტყიბულის ქვანახშირის შახტაში 2018 წლის 16 ივლისს მომხდარი აფეთქების შედეგად. იგი 54 წლის იყო და დარჩა მეუღლე და ერთი ვაჟი, ისიც მეშახტე. მიხეილის ძმისწული პავლე, რომელიც სულ 25 წლის იყო, ხუთ სხვა მეშახტესთან ერთად ორი თვით ადრე ემსხვერპლა კიდევ ერთ უბედურ შემთხვევას.

ტყიბულის ტრაგედიებმა მწვავედ წარმოაჩინა საქართველოში შრომის კანონმდებლობის რეფორმირების საჭიროება; დერეგულაციის ათი წლის შედეგად ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა შრომითი უფლებები და გაუქმდა სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის მექანიზმები. 2006 წელს, ვარდების რევოლუციის შედეგად პროდასავლური პრეზიდენტის ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, საქართველომ გააუქმა შრომის ინსპექცია მასშტაბური ეკონომიკური რეფორმების ფარგლებში, რომლებიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, დერეგულაციის შემდეგ, სამუშაო ადგილზე ყოველწლიურად დაღუპულთა რიცხვი 74 პროცენტით გაიზარდა, ძირითადად სამთო მრეწველობასა და მშენებლობაზე. 2007-დან 2017 წლამდე პერიოდში სამუშაო ადგილებზე დაღუპულთა საშუალო რაოდენობა წელიწადში 41 იყო, განსხვავებით 2002-2005 წლებისგან, როდესაც ეს ციფრი წელიწადში საშუალოდ 24-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის შემდეგ ქვეყანამ გადადგა ნაბიჯები შრომითი ბაზრის რეგულირებისკენ, შახტებში 2018 წელს მომხდარმა უბედურმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ დერეგულაციის გრძელვადიანი ზემოქმედება, რომელიც უსაფრთხოებასა და შრომით უფლებებთან მიმართებაში არასათანადო პრაქტიკის ლეგიტიმაციას ახდენდა, ძნელად აღმოსაფხვრელია.

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება 80-ზე მეტ ადამიანთან ინტერვიუს. მათ შორის არიან საქართველოში ქვანახშირისა და მანგანუმის მოპოვებაზე მომუშავე ადამიანები და მათი ოჯახის წევრები, პროფკავშირები, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შრომის ინსპექციისა და ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და პარლამენტის წევრები. მოცემული ანგარიშის ძირითადი მიგნებაა, რომ შახტებსა და

მაღაროებში დასაქმებულთა უსაფრთხოება კვლავაც სერიოზული რისკის ქვეშაა ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი რეგულირების და მისგან გამომდინარე სამთო-მომპოვებელი პრაქტიკის გამო, რომელიც პრიორიტეტს წარმოების მასშტაბებს ანიჭებს და არა უსაფრთხოებას.

ჩვენი კვლევა ცხადყოფს, რომ ქვანახშირის და მანგანუმის მოპოვებაზე კვოტების (საწარმოო მიზნების) დაწესების პრაქტიკა და კვოტების შეუსრულებლობისთვის ხელფასების დაქვითვა სტიმულს აძლევს მშრომელებსა და ზედამხედველებს, უგულებელყონ შრომის უსაფრთხოება. მანგანუმის მოპოვების ახალი სისტემა, რომელიც 2016 წელს დაინერგა, კიდევ უფრო ამძაფრებს შრომის უსაფრთხოების პრობლემებს. სისტემის ფარგლებში შემოღებული იქნა 12-საათიანი ცვლები, მათ შორის ღამის ცვლებიც, ზედიზედ 15 დღის განმავლობაში, ცვლების დროს უქმე დღეების ან ოფიციალური დასვენებების გარეშე. ამჟამად ეს სისტემა ვრცელდება მანგანუმის მომპოვებელ 380 მუშაზე, რომლებიც ვალდებულნი არიან, იცხოვრონ დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილ საერთო საცხოვრებელში, სადაც მათ დაბალი ხარისხის და არასაკმარისად კალორიული საკვები ეძლევათ და ეზღუდებათ გადაადგილების თავისუფლება.

ანგარიშში განხილულია სხვადასხვა პრაქტიკა, რომელიც არღვევს დასაქმებულთა უფლებებს. ეს მოიცავს მუშაობის ხანგრძლივ საათებს ყოველკვირეული დასვენების, აგრეთვე ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურების გარეშე, წერილობითი ხელშეკრულებების არარსებობას და მენეჯმენტის მიერ ხელფასების დაქვითვას.

2013 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯები გადადგა შრომითი უფლებების დაცვის არსებული პრაქტიკის გამოსასწორებლად: გააძლიერა შრომის კოდექსი და 2015 წელს დაარსა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. 2019 წლის თებერვალში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა შრომის ინსპექციის უფლებამოსილება. მაგრამ შრომის უფლებებისა და ზედამხედველობის შესახებ რეგულაციები ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს და მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სავალდებულო ყოველკვირეული დასვენება, ღამის საათებში მუშაობა, ზეგანაკვეთური საათები და მათი ანაზღაურება, ასევე ცვლების დროს შესვენება. კანონის და ზედამხედველობის ეს ხარვეზები ხელს უწყობს იმ პრაქტიკას, რომელიც კვლავაც უქმნის საფრთხეს დასაქმებულებს და არღვევს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ შრომით უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანგარიში ეხება საქართველოში ქვანახშირისა და მანგანუმის მოპოვების მრეწველობაში მიღებულ პრაქტიკას, რომელიც ხელყოფს მუშების უსაფრთხოებას და არღვევს მშრომელთა უფლებებს, ჩვენი დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორისთვის. რეფორმები, რომლებიც აუცილებელია საქართველოს შრომითი სამართლის შრომისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და მთავრობის მხრიდან შესაბამისი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ყველა დასაქმებულ ადამიანს მოუტანს სარგებელს.

საქართველოს მთავრობამ ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით იკისრა ვალდებულება, გაეძლიერებინა თავისი შრომითი კანონმდებლობა და ზედამხედველობისა და აღსრულების მექანიზმები. მაგალითად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება, გააგრძელოს მუშაობა, რათა 2020 წლამდე შექმნას შესაბამისი კომპეტენციით და შესაძლებლობებით აღჭურვილი სრულფასოვანი შრომის ინსპექტირების სისტემა, რომელსაც შეეძლება ყველა სამუშაო პირობისა და შრომითი ურთიერთობის ინსპექტირება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობის რეფორმირება, რათა ის შეესაბამებოდეს ევროკავშირის შრომითი უფლებების შესახებ დირექტივებში გათვალისწინებულ პრინციპებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ განსაზღვრავს კომპანიათა პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, რაც ითვალისწინებს გამოსასწორებელი ზომების მიღებას, თუკი მათი მხრიდან ადგილი აქვს გადაცდომებს. ამ ანგარიშში დოკუმენტირებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ საქართველოს ქვანახშირისა და მანგანუმის მომპოვებელი კომპანიები არ ასრულებენ აღნიშნულ პასუხისმგებლობას.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას

- განახორციელეთ შრომითი პოლიტიკის ყოვლისმომცველი რეფორმა, რათა შრომითი კანონმდებლობა შეესაბამებოდეს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს მიერ ნაკისრ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებს. წინამდებარე ანგარიშში გამოვლენილი კონკრეტული ხარვეზები შეეხება სამუშაო საათების, ყოველკვირეული დასვენების, ღამის საათებში მუშაობის, ზეგანაკვეთური სამუშაო საათების და ოფიციალურ დასვენების დღეებში მუშაობის ანაზღაურების რეგულირების გაუმჯობესებას და დასაქმებულებისთვის ხელშეკრულებების ასლების მიწოდებას;
- შექმენით სრულფასოვანი დამოუკიდებელი შრომის ინსპექცია, რომელიც იქნება სათანადო პერსონალით დაკომპლექტებული, მომზადებული და შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი. მას უნდა გააჩნდეს ფართო მანდატი, რომელიც გულისხმობს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას;
- მოახდინეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „შრომის ინსპექტორატის შესახებ“ 81-ე კონვენციის, „პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ“ 155-ე კონვენციის და „მაღაროებში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ“ 176-ე კონვენციის რატიფიცირება;
- მოახდინეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „ყოველკვირეული დასვენების შესახებ“ მე-14 კონვენციის და „მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა სამუშაო საათების შესახებ“ პირველი კონვენციის რატიფიცირება.

საქართველოს პარლამენტს

- დაუყოვნებლივ შეიტანეთ ცვლილებები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რათა შრომის ინსპექციას მიეცეს შესაძლებლობა, სისტემატურად შეამოწმოს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი საფრთხე, მათ შორის, და არა მხოლოდ, სამუშაო საათებთან, დაღლილობასთან და ადეკვატურ დასვენებასა და საწარმოო ზეწოლასთან დაკავშირებული საფრთხეები;
- განახორციელეთ ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში ან/და სხვა შესაბამის სამართლებრივ აქტებსა და რეგულაციებში, რათა შეიქმნას დამოუკიდებელი, სათანადო პერსონალით დაკომპლექტებული და მომზადებული შრომის ინსპექცია ფართო მანდატით, რომელიც გულისხმობს

სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემოწმებას;

- უზრუნველყავით, რომ შრომისა და უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევისთვის დაკისრებელი ჯარიმები საკმარისად მკაცრია იმისთვის, რომ შექმნას სტიმული აღნიშნული სტანდარტების დასაცავად, ქცევის შესაცვლელად და მომავალში დარღვევების პრევენციისთვის;
- განახორციელეთ ცვლილებები შრომის კოდექსში და ჩართეთ მასში ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების, ევროპის სოციალური ქარტიისა და სამუშაო დროის შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2003/88 დირექტივის შესაბამისად:
    - სულ მცირე 24-საათიანი დასვენების დაწესება ყოველ შვიდდღიან პერიოდში;
    - ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათებისთვის, დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას და ღამით მუშაობისთვის განაკვეთის დაწესება; ეს განაკვეთი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, სტანდარტული საათების სულ მცირე ერთ მთელს და ერთ მეოთხედს უნდა შეადგენდეს;
    - ზეგანაკვეთური საათების იმგვარად შეზღუდვის გათვალისწინება, რომ ეს შეესაბამებოდეს მშრომელთა ადეკვატური დასვენების საჭიროებას;
    - სავალდებულო შესვენებების დაწესება ყველა ცვლისათვის, რომელიც ექვს საათზე მეტ ხანს გრძელდება;
    - ღამის საათებში მუშაობის შეზღუდვა მაქსიმუმ რვა საათამდე;
    - მკაფიო წესების დაწესება ხელფასიდან თანხების დაქვითვასთან დაკავშირებით და დაქვითვის კანონიერი ზღვრის იმგვარად შემცირება, რომ მუშაკებს შეეძლოთ საკუთარი თავის და მათზე დამოკიდებული ადამიანების რჩენა.
- განახორციელეთ ევროკავშირის საბჭოს 91/533/EEE დირექტივა და შესაბამისობაში მოიყვანეთ საკუთარი კანონმდებლობა აღნიშნულ დირექტივასთან, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, აცნობოს დასაქმებულებს ხელშეკრულებასთან ან სამუშაო ურთიერთობასთან დაკავშირებული პირობების შესახებ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- შემოიღეთ რეგულაციები, რომლებიც კომპანიებს მოსთხოვს, იქონიონ დაღლილობის მართვის პოლიტიკა, და დაავალეთ შრომის ინსპექციას რეგულარულად შეამოწმოს, თუ რამდენად ხელყოფს არსებული სამუშაო საათები სათანადო დასვენებას და შრომით უსაფრთხოებას;

- შემოიღეთ რეგულაციები, რომლებიც კომპანიებს მოსთხოვს, დამოუკიდებლად დაადასტურონ, რომ საწარმოო მიზნები უსაფრთხოდ შეიძლება იქნეს მიღწეული, და შრომის ინსპექციას მიანიჭეთ უფლებამოსილება, შეამოწმოს, თუ როგორ იცავენ კომპანიები ამას პრაქტიკაში;
- შეაგროვეთ და გაასაჯაროეთ მონაცემები სამთო-მოპოვებითი საქმიანობისას მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით და უზრუნველყავით მონაცემების კლასიფიკაცია დამსაქმებლის, რეგიონის და დაზიანებების მიხედვით.

„ჯორჯიან მანგანეზს“

სამთო-მოპოვებითი საქმიანობის ახალ სისტემასთან მიმართებაში:

- მინიმალური ზომის სახით და მუშების ხელფასების შემცირების გარეშე:
    - შემოიღეთ ყოველკვირეული, შვიდ დღეში ერთხელ, სულ მცირე 24 საათიანი დასვენება;
    - შეზღუდეთ ღამით მუშაობის დრო მაქსიმუმ რვა საათამდე;
    - შემოიღეთ სულ მცირე 30 წუთიანი ოფიციალური დასვენებები ყოველი ექვსი სამუშაო საათის შემდეგ;
    - ნება მიეცით თანამშრომლებს, თავად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ცვლებში მუშაობის დროს, და არ დასაჯოთ ისინი, ვინც არ ისურვებს კომპანიის საერთო საცხოვრებელში დარჩენას;
    - უზრუნველყავით, რომ საერთო საცხოვრებელში შესვლისა და იქიდან გასვლის დროზე დაწესებული შეზღუდვები გონივრული და პროპორციული იყოს და მიზნად ისახავდეს საერთო საცხოვრებლის მკვიდრთა ინტერესების დაცვას;
- თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან კონსულტაციის საფუძველზე მიიღეთ დაღლილობის მართვის გეგმა და უზრუნველყოს, რომ მუშებს ადეკვატური დასვენება ჰქონდეთ;
- მუშებთან, მათ წარმომადგენლებთან და პროფკავშირებთან კონსულტაციით მოახდინეთ საწარმოო გეგმების კორექტირება იმგვარად, რომ თვალსაჩინო იყოს მათი უსაფრთხოდ მიღწევა;
- გამოყავით საკმარისი ბიუჯეტი, რომელიც დააკმაყოფილებს კვების რაციონის მოთხოვნებს მძიმე ფიზიკური დატვირთვის პირობებში, მათ შორის საკმარისი რაოდენობით პროტეინის მიღებას იმ მუშების მიერ, რომლებიც კომპანიის საერთო საცხოვრებელში ყოფნას აირჩევენ;
- ყველა თანამშრომელს გადაეცით წერილობითი ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების მოთხოვნები კონკრეტული თანამდებობებისთვის, და ყველა მუშაკისთვის უზრუნველყავით ხელფასის გადახდის ქვითრის ყოველთვიურად მიწოდება.

რაც შეეხება ძველ სამთო-მოპოვებით სისტემას:

- სრულად აუნაზღაურეთ მუშებს კომპანიის ტერიტორიაზე ყოფნის დრო, მათ შორის შეხვედრების დაგეგმვაში მონაწილეობის, სამუშაო ტანსაცმლის ჩაცმის, მიწის ზედაპირიდან მიწისქვეშ ობიექტებზე ტრანსპორტირების დრო;
- გაზრდილი ტარიფით აუნაზღაურეთ თანამშრომლებს კვირაში 48-საათის ზევით ნამუშევარი სამუშაო საათები, აგრეთვე ოფიციალური დასვენების დღეებში ან ღამით ნამუშევარი საათები; სანამ კანონის რეფორმირების დასრულების შემდეგ ეს სავალდებულო გახდება, კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს შრომის ანაზღაურების შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი განაკვეთის შემოღება, რომელიც სტანდარტული საათებისთვის გადახდილი განაკვეთის არანაკლებ ერთ მთელს და ერთ მეოთხედს შეადგენს;
- ყველა თანამშრომელს გადაეცით წერილობითი ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების მოთხოვნები კონკრეტული თანამდებობებისთვის, და ყველა მუშაკისთვის უზრუნველყავით ხელფასის გადახდის ქვითრის ყოველთვიურად მიწოდება, სადაც მითითებული იქნება ნამუშევარი საათების რაოდენობა;
- მუშებთან, მათ წარმომადგენლებთან და პროფკავშირებთან კონსულტაციით მოახდინეთ საწარმოო გეგმების იმგვარად კორექტირება, რომ თვალსაჩინო იყოს მათი მიღწევის უსაფრთხოება; პროფკავშირებთან კონსულტაციით, მიაღწიეთ შეთანხმებას გასულ წლებში გაწეული შრომის რეტროაქტიულად ანაზღაურების მიზნით იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც სრულად არ ეძლეოდა ანაზღაურება ნამუშევარი საათებისთვის.

საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს

- შეცვალეთ წარმოების მაჩვენებელზე დამოკიდებული ხელფასები ფიქსირებული ხელფასებით, საშუალო წლიურ მაჩვენებელზე დაყრდნობით, ყველა მუშაკისთვის, წარმოების მაჩვენებლის მიუხედავად;
- მუშებთან, მათ წარმომადგენლებთან და პროფკავშირებთან კონსულტაციით განახორციელეთ საწარმოო გეგმების იმგვარად კორექტირება, რომ თვალსაჩინო იყოს მათი მიღწევის უსაფრთხოება; გააუქმეთ ქვანახშირის დაბალი ხარისხის გამო ხელფასების დაქვითვის პრაქტიკა, როდესაც მეშახტეები სრული სამუშაო დატვირთვით მუშაობენ;
- მუშებს სრულად აუნაზღაურეთ კომპანიის ტერიტორიაზე ყოფნის დრო, მათ შორის შეხვედრების დაგეგმვაში მონაწილეობის, სამუშაო ტანსაცმლის ჩაცმის, მიწის ზედაპირიდან მიწისქვეშ ობიექტებზე ტრანსპორტირების დრო; ყველა ნამუშევარი საათი ხელფასის გადახდის ქვითრებში ასახეთ;

- გაზრდილი ტარიფით აანაზღაურეთ კვირაში 48-საათის ზევით ნამუშევარი სამუშაო საათები, აგრეთვე ოფიციალური დასვენების დღეებში ან ღამით ნამუშევარი საათები; სანამ კანონის რეფორმირების დასრულების შემდეგ ეს სავალდებულო გახდება, კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს შრომის ანაზღაურების შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისი განაკვეთის შემოღება, რომელიც სტანდარტული საათებისთვის გადახდილი განაკვეთის არანაკლებ ერთ მთელს და ერთ მეოთხედს შეადგენს;
- პროფკავშირებთან კონსულტაციით, მიაღწიეთ შეთანხმებას გასულ წლებში გაწეული შრომის რეტროაქტიულად ანაზღაურების მიზნით იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც სრულად არ ეძლეოდა ანაზღაურება ნამუშევარი საათებისთვის.

ევროკავშირს და აშშ-ის მთავრობას

- გააგრძელეთ საქართველოს აქტიური წახალისება, რათა ქვეყანამ შექმნას სრულფასოვანი შრომითი ინსპექცია, მოახდინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციების რატიფიცირება, პრიორიტეტად განსაზღვროს ქვეყნის შრომითი კანონების საერთაშორისო შრომით სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და შეასრულოს ზემოთ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები;
- ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს, რომ 2021 წლიდან ასოცირების განახლებული დღის წესრიგი მოიცავს ახალ პრიორიტეტებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან, ევროპის სოციალური ქარტიის დებულებებთან, ევროკავშირის საბჭოს 2003/88 დირექტივასთან სამუშაო დროის შესახებ და საბჭოს 91/533/EEC დირექტივასთან, რომელიც დამსაქმებლებს ავალდებულებს, გასცენ წერილობითი ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ.

შრომის ბაზრის დერეგულირების წლების შედეგად ქართველი მეშახტეებისა და მაღაროელების უსაფრთხოება რისკის ქვეშაა. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 2006 წლის შემდეგ, როდესაც საქართველომ გააუქმა შრომის ინსპექცია და მნიშვნელოვნად შეცვალა შრომის კოდექსი, სამუშაო ადგილზე, მათ შორის სამთო მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში, დაღუპულთა რიცხვი 74 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმებისა, მეშახტეები და მაღაროელები მოკლებულნი არიან ქმედით დაცვას იმისგან, რომ მათ არ უწევდეთ არანორმირებული ზეგანაკვეთური მუშაობა, სათანადო შესვენების გარეშე და არ მოეთხოვებოდეთ საწარმოო კვოტების შესრულების წნეხის ქვეშ მუშაობა, რაც ზრდის მათი უსაფრთხოების რისკებს. კვლევა *„არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“*, 80-ზე მეტ ადამიანთან ინტერვიუზე დაყრდნობით, იკვლევს საქართველოს ორ - მანგანუმისა და ქვანახშირის მომპოვებელ - შახტებსა და მაღაროებში მომხდარ უბედურ შემთხვევათა მიზეზებს. კვლევა ცხადჰყოფს, რომ დასაქმებულთა უსაფრთხოება სერიოზული რისკის ქვეშაა ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი რეგულირებისა და მისგან გამომდინარე სამთო-მომპოვებელი პრაქტიკის გამო, რომელიც პრიორიტეტს წარმოების მასშტაბებს ანიჭებს და არა უსაფრთხოებას. მანგანუმის მომპოვებელი მუშების თქმით, ისინი უკიდურესად გადაღლილები არიან მიწის ქვეშ 12-საათიან ცვლებში, მათ შორის ღამის ცვლებში, მუშაობით, ზედიზედ 15 დღის განმავლობაში, და საწარმოო კვოტების შეუსრულებლობისთვის მათ ხელფასებს უქვითავენ. მუშაობის ეს პირობები აისახება მათ უსაფრთხოებაზე. იმავე ქალაქში მცხოვრებ მუშებს ცვლების განმავლობაში მოეთხოვებათ კომპანიის საერთო საცხოვრებელში ცხოვრება, ნაწილობრივ წარმოების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, მაგრამ ეს მათ პირად ცხოვრებაში ჩარევა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაა.

ხელახლა ჩამოყალიბებულ შრომის ინსპექციას შეზღუდული მანდატი აქვს, რომელიც არ მოიცავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შემოწმებას, როგორებიცაა არანორმირებული სამუშაო საათები, მაღალი საწარმოო კვოტები და სხვა, უფრო ფართო, შრომითი უფლებები. ზოგადად, შრომითი უფლებების დაცვა მნიშვნელოვნად განაპირობებს სამუშაო ადგილის უსაფრთხოებას. იმ სამთო-მოპოვებითმა კომპანიებმა, რომლებიც წინამდებარე ანგარიშში მითითებულ შახტებსა და მაღაროებს უწევენ ექსპლუატაციას, აგრეთვე განაცხადეს, რომ მათთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია მშრომელთა უსაფრთხოება და შრომითი უფლებები. მაგრამ საქართველოს არსებული კანონმდებლობა ჯერაც არასაკმარისად არეგულირებს, სხვა საკითხებთან ერთად, სამუშაო საათებსა და შესვენების დროს, ყოველკვირეულ დასვენებას, ღამის საათებში მუშაობას და ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს შრომის კანონმდებლობის რეფორმა, რათა უზრუნველყოს მშრომელთა უფლებების დაცვა და შრომის ინსპექციის მხრიდან მათზე ზედამხედველობა. შრომის ინსპექციას უნდა ჰქონდეს ფართო მანდატი, რომელიც შეამოწმებს შრომითი უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაცვას. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებმა, მათ შორის ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უნდა მოითხოვონ შრომითი უფლებების სრული რეალიზება და დაცვა.

მაღაროელს ხელში უჭირავს მიწიანი მანგანუმის ნაჭერი. ქალაქი ჭიათურა, საქართველო.
© 2014 დარო სულაკაური

მუშა დგას მანგანუმის მაღაროს ერთ-ერთ გვირაბში. ქალაქი ჭიათურა, საქართველო.
© 2014 დარო სულაკაური

hrw.org